



თავისუფლება

სათეატრო სალიტარ. ჟურნალი

№ 22 — 1917
 მკირბ მაიის 28
 ფასი 20 კ.
 წელიწადი მთავრად
 გამოცემისა

მზის შესვენება

1

ზნელს სინათლე ეპარება,
 ფუსფუსია ბინდბუნდ ცაზე,
 მთვარე მიდის, ეფარება,
 ნაღვლიანობს რაღაცაზე.

2.

მზე ამოდის! მზე ამოდის!
 ფრინველებმა დაჰკრეს ტაში!
 მსურს მეც გზაში მივეგებო!
 მეჯინიბეგ, ჩქარა, რაში..

გ. ქუჩიშვილი



სახელოვანი ოჯახი

კაკი წერეთელს

ღირსეულო მამის შვილო,
 ხალხის გულის მეგობარო,
 მზათა ხარ რომ მსოფლიოსთვის
 იბრძოლო და სისხლი ჰღვარო,
 მაგრამ გთხოვ არ დაივიწყო
 მზარე შენი სანეტარო...

ვარ. ყიფიანი.

სხედან: გ. წერეთელი, მეუღლე მისი — ანასტასია; გიორგის
 შეილება: ელიო, სდგანან: კაკი (მინისტრი) და ლევანი

საამდროვო საუბარი

რუსეთის რევოლუცია რომ ნაყოფია სა-
მი ძალის—პროლეტარიატის, ჯარის და მოწი-
ნავე ბურჟუაზიის ბრძოლისა, ეს მუშათა და
საღდათთა დებუტატების უმრავლესობისაგან
უტყუარ ჭეშმარიტებათ არის აღიარებული.

ამიტომ მუშათა და საღდათთა დებუტა-
ტების საბჭოებმა ყველგან გამოიტანეს შემ-
დეგი დადგენილება: დროებით მთავრობას
მხარი დაუჭიროთო.

მოწინავე ბურჟუაზია რომ მხოლოდ მო-
წინავე მარტო ბურჟუეზში, ეს მუშებმა და
საღდათებმა ძალიან კარგათ იცოდნენ.

მოწინავე ბურჟუაზია რომ კლასობრივია
და არა ზეკლასობრივი ან კლასთა გარეშე
მდგომი, ესეც კარგათ იცოდნენ.

მოწინავე ბურჟუაზია რომ არც სოცია-
ლისტია და არც უკიდურესი რევოლუციო-
ნერი, ეს ხომ კიდევ უკეთ იცოდნენ.

მიუხედავთ ამისა მაინც დაადგინეს: მხა-
რი დაუჭიროთო.

ესეთ დადგენილებას შესაფერი ნაბიჯიც
უნდა მოჰყოლოდა.

როგორია ეს შესაფერი ნაბიჯი?

მუშათა და საღდათთა დებუტატების სა-
ბჭო პეტროგრადში ზოგჯერ ისე იქცეოდა,
თითქოს არავითარი დროებითი მთავრობა არ
ყოფილიყოს.

ზოგჯერ ისე, თითქოს დროებითი მთავ-
რობა მისი ხელქვეითი ყოფილიყოს:—ბრძა-
ნება ჩენი იყოს, ასრულება თქვენიო.

—თუ აგრეა, პასუხის მგებლობაც იკი-
სრეთ, გაბედა დროებითმა მთავრობამ.

—პასუხის მგებლობა ბურჟუაზიისათვის
დავეითებია; ასეთ დროს ჩვენ პასუხისმგებლო-
ბას ვერ ვიკისრებთ.

ვინ ამბობს, ბურჟუაზიას კარგათ უნდა
ჩაუსაფრდე, რაგინდ მოწინავე იყოს ის, კვალ-
დაკვალ უნდა მისდით, რომ რაც შეიძლება
გადმოჰხარო დემოკრატიისკენ.

მაგრამ ამ ჩასაფრებასა და გადმოხრას
თვისი სამზღვარი აქვს.

თუ ბურჟუაზიას და იმის დროებით მთა-
ვრობას მხარს უჭერ, მაჩანჩალათ აღარ უნდა

გახადო ის: ზოგი რამ შენც უნდა დაუთმო,
ზოგი რამ იმანაც უნდა გაიყვანოს თავისი,
რომ ამითი ფასი ჰქონდეს ხალხის თვალში.

პეტროგრადში მუშათა და ჯარის კაცთა
საბჭოს სიტყვა და საქმე არ იყო ზოგჯერ
ერთმანეთთან შეთანხმებული და საერთოთ
მისი მოქმედება არ იყო გაბედული. სიფრთხი-
ლე კარგი თვისებაა, მაგრამ მეტისმეტი სი-
ფრთხილე შიშის მესახლდერეა.

მოწინავე ბურჟუაზია უფრო დახელოვნე-
ბული გამოდგა.

სოციალისტების არჩევით დროებითი
მთავრობაში მან ჩაიქირა მუშათა და ჯარის
კაცთა საბჭო. ამ გზით ბურჟუაზიამ ძალაც
შეიმატა და ნახევარი პასუხისმგებლობაც
დემოკრატიას მოახვია თავზე.

ხაერთათ რევოლუციის ქარცეცხლში
ასეთი საკოალიციო სამინისტრო, როგორც
დღეს რუსეთშია, ერთ გვარი ხაფანგია დე-
მოკრატიისათვის.

მაგრამ პეტროგრადის მუშათა და სალ-
დათთა საბჭო ისეთ გზას დაადგა, რომ ასეთი
ხაფანგი არა თუ აუცილებელი, საჭირო იყო
და სასარგებლოც უნდა დარჩეს.

პეტროგრადის დემოკრატიის პირველ ნა-
ბიჯებში ლოგიკა სუსტობდა, მაგრამ სამაგიე-
როთ მის მხარეზე იყო და არის ჯერჯერობით
ლოგიკა ფაქტებისა, ლოგიკა რუსეთის სინა-
მდვილისა.

ლენინის ქადაგებაში კი ლოგიკა იყო და
არის, მაგრამ მისკენ არ არის დღეს ლოგიკა
ფაქტებისა, ლოგიკა რუსეთის სინამდვილისა.

მართლაც თუ მუშათა და საღდათთა
საბჭო მოწინავე ბურჟუაზიაში რევოლუციის
ძალას ჰხედავს, თუ დროებით მთავრობას ის
მხარს უჭერს, არც უნდა გაიხადოს ის ხელ-
ქვეით და ფარემის სკამზე არ უნდა დააჯი-
ნოს.

ხოლო მოწინავე ბურჟუაზია და დროე-
ბითი მთავრობა იმდენათ არ არიან სანდონი,
რომ მათი დაჯდომა ფარემის სკამზე აუცი-
ლებელია. მაშინ რაღა ეშმაკათ გინდათ ასე-
თი მთავრობა,— ყვაფების დასაფრთხობათ?

გადააბეჯეთ მას და ხელთ იგდეთ მთა-
ვრობის მთელი უფლება.

რუსეთის სინამდვილის ლოგიკამ სძლია და ამის ნაყოფია საკოალიციო მთავრობა.

მეტათ მძიმე ტვირთი იკისრეს სოციალისტმა მინისტრებმა; ან უნდა დაიღუბონ, ან უნდა გაიმარჯონ და მტკიცეთ დააყენონ რუსეთი ახალ გზაზედ.

განსაკუთრებული სიხარული ჰმართებს ქართველ ერს, განსაკუთრებული სიამაყე ქართველ დემოკრატებს.

სარევოლუციო რღვევის დიდი ნიჭი მან მისცა დიდ რუსეთს. კარლო ჩხეიძის სახით; რევოლუციის ქარცეცხლში შემოქმედების, აღმაშენებლობის დიდი ნიჭი კაკი წერეთელში.

უწინარეს ყოვლისა რა არის საჭირო რუსეთისათვის?

რევოლუციის სრული გამარჯვება.

ამისათვის რა არის აუცილებელი?

ომი სრულ გამარჯვებამდე, გვეუბნებიან.

შემცდარი აზრია.

საჭიროა და აუცილებელიც ომის რაც შეიძლება ჩქარა დაბოლავება საპატიო ზავით.

ომის დაბოლავებ აუცილებლათ საჭიროა, რუსეთის დემოკრატია მთელი თვისი ძალიან რევოლუციის მოანდომოს და მიიყვანოს ის დემოკრატიული რესპუბლიკის სრულ გამარჯვებამდე.

ომის დაბოლავება და საპატიო ზავი მარტო რუსეთის დემოკრატიისათვის კი არ არის სასურველი, ის სასურველია ყველა მებრძოლი სახელმწიფოების დემოკრატიისათვის.

ამ ფრიად ძნელ საქმეს ხელი მოჰკიდეს რუსეთის სოციალისტებმა და ახლო მომავალი დაგვანახებეს, გაიმარჯვებენ თუ არა.

ივ. გომართელი.

ჩვენი თეატრის სადღეისო მოვალეობა.

დღევანდელმა მდგომარეობამ, სარეჟოდიუციო მოძრაობამ, თეატრს სამუშაო ნადავო შეუდარებლად გაუძიდა.

ამ საერთო აღტაცების ხანაში, როდესაც ვუკლას სურს თავისი სხვას ამცნოს და სხვისი თვითონ გაიკოს, როდესაც მთელი ქვეყანა ღამის აჩის აუდიტორიით გადაიტყეს, თეატრის, ასე ვთქვათ, აუდიტორიისად ცნობრებასთან შეთანხმებული ტონი უნდა მიეცეს. ვერვინ უარყოფს ჩვენი თეატრის დიად სამსახურს ხალხის წინაშე, მან აზიარა იგი ევროპის საუკეთესო დრამატურგების იდეებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა თეატრმა ერთგვარი სიკოტლეტ გამოიჩინა, განსაკუთრებით უმასლობელეს წარსულ ხანაში, როდესაც საჯანობრივ იდეების თრწახნებში ჩახრახის ღამობდენ. თეატრს, მარტოდ მარტო თეატრს ქტონდა საშუალება კანტი-კუნტად მანტ ესაზრდოებია საზოგადოება აკრძალული ხილით.

ამის ნაცვლად ჩვენ რას ვხედავთ? თითქოს განვლილი ბრწყინვალე ხანა დავიწყებისთვის უნდა მიგვეტა, თითქოს ცოცხალ სურათების ხილვა საზოგადოების სულიერ მოთხოვნილებას არ შეადგენდა, თითქოს ციხეებმა და ბოკაილებმა დემოკრატიის—თეატრის ამ ერთად ერთ ნამდვილ შესვეურის—სულიერი მისწრაფებანიც ჩაახლეა—ჩვენი თეატრის რეპერტუარის პირველ რიგში დრამოჰმული „ისტორიული“ პიესები დასვეს.

თავისუფლად სულიერად საზრდობას მოკლებულ დემოკრატიას, რომელიც ძალა-უნებურად ეტანებოდა თეატრს. უშინაასრო, მკვადრილიან პიესებით უმასზინდებდებოდენ. ჩვენი თეატრიც არ იყო დემოკრატიული, მასთანდაშეარტ მჭიდრო საფუძველზე მდგარი. ამით უნდა ახსნათ დღეს ის მოვლენა, რომ ეს საერთო ტრიბუნა-სცენა თითქმის ცარიელია. იმის ნაცვლად რომ დღეს მასაც ეთქვა მკვეთრი სიტყვა რომ მასაც დატოვბოდა კანახლება, —საზოგადოების წინაშე იგი თითქმის გამომვლბული გამოვიდა, ის დღესაც ვერ იშორებს გუშინდელ ტენდენციებს, დღესაც ებლაქება დრამოჰმულ პიესებს, დღესაც დამბოს საზოგადოება უხვირო „ისტორიული“ პიესებით დასურეს.

ჩვენი თეატრის შესვეურები/ვერ ამჩნევენ ამ მდგომარეობას, იმის ნაცვლად, რომ დრამათ განიმსკვალონ თეატრის დღევანდელ უნუ-

გეშო მდგომარეობით, რომ გამოსავალი გზა უძიონ, ისინი თითქოს არხეინად არიან. დაბრძნება როდის იყო კარგი, რომ დღეს იყოს? ნუ თუ ვუვლას ისინი, ვინაღ დღეს დახვსებულ რაღებში გამოსულაქვს ტანს უკრავინ, თეატრის მესვეურებათ იყვნენ, ან გამოდგებიან ოდესმე? ნუ თუ დაშფოქრებულა არაა ის მოვლენა, რომ ასეთ ზიკსების „მოტაშენი“ კლუბის ინტელიგენტებია და არა უტრუფარა იმედი თეატრისა—დემოკრატია? დიხსაც დაშფოქრებულა აქ ორი თეატრი იხადება: ერთი „მათი“ ე. ი. ინტელიგენტის, მეორე ხალხის—დემოკრატული. მეორე უკვე იღვამს ფეხს, პირველი კი სამარისკენ მიემართება, თეატრი შუქი უნდა იყოს საზოგადოების, ის წინ უნდა მიუძღოდეს ხალხს: ამ უკანასკნელიდან ჩამოიხრება და უარყოფილის ლეკვა თეატრს არ უბატება.

დღეს თვით ქვანინც აღადადდენ თავისუფლების ჭანტუე, დღეს თვით ურწმუნო თამანიც სახალხო საქმეების წინაშე ფიცს დებენ და ნუ თუ ჩვენმა თეატრმა, რომელსაც წარსულ მოქმედებაში ბრწინაფაღ ხანაც განუგდია, დღევანდელ მომენტში მანანხადად დაჩინა უნდა აიტანოს?

ჩვენ დღემად გვწამს, რომ ეს ასე არ იქნება. ჩვენი თეატრიც აღაზანაკდება თავისუფლების ძლიერ ჭანტუეზე, აღაგმავს მის იმ წერილფებს მისამსახურებს, რომელნიც სოფლად თუ ქადაქად მას შანდანიურ სახეს უმევიდრებენ, გაწმენდს რეპერტუარს დაჩინულ ზიკსებიდან დადგება ნამდვილ დემოკრატულ საფუძველზე. მხოლოდ ეს უკდაუყოფს მას მომავლის ისტორიაში.

განსაკუთრებით დღეს უნდა განხილონ თვალები ჩვენი თეატრის მესვეურებმა, თუ კი ისინი ასეთობას აფასებენ. დღეს, როდესაც წარმოდგენების დასადგომლად ნებასთვა თითქმის საჭირო არაა, ვუვლას ვიგინდაჩა მსახიობი განდა. ასეთების დარსებაზე და სახელფაონთ აფლა-დი-დებებზე ჩვენ შვათხველბს გასულ წლის 11. და 12. „ზაფხულის 11-12 ში მოველაზანაკეთ ამით უფრო სტენაზე კონტაობა აინტერესებთ“ ვანუმ რადაც სათეატრო ხელფაონება, რომელიც მათ იათი თავშესაქმევი საგანი ჭკონიათ აქ დაშფოქრებულა თეატრის საძირკვლის გამოურა მათგან მოუფოქრებლად მიღებულ დახვსებულ რეპერტუარით. ამ „ხელფაონებსა უფრო ისტორიულ ტანსაცმელი კაბწაობა აინტერესებთ, ვინემ ხალხისთვის სულიერ საზოდოს მიწოდება. ჩვენი ტეატრის მესვეურების მოვალეობა ისიც არის, რომ ასეთებს თვალფერი ადვენონ, შეს-მუშავონ რეპერტუარი, თორემ რეგულირების დროს უარყოფილის მიღება ხელახლად ძლიერ დაგვიანდება. საჭიროა შევიბრალოთ საზოგადოებაც და თეატრიც.

როდესაც ტანსაცმელი კაბწაობა აინტერესებთ, ვინემ ხალხისთვის სულიერ საზოდოს მიწოდება. ჩვენი ტეატრის მესვეურების მოვალეობა ისიც არის, რომ ასეთებს თვალფერი ადვენონ, შეს-მუშავონ რეპერტუარი, თორემ რეგულირების დროს უარყოფილის მიღება ხელახლად ძლიერ დაგვიანდება. საჭიროა შევიბრალოთ საზოგადოებაც და თეატრიც.

პრ. ფანცულაია.

ძღუნად აბაშელს

— „პაწა ძღუნო, სად მიხვალო?
— სიღვანაც დიდს მოველიო!“

ხალხური.

მსურდა, ძმაო, შენთვის მეძღვნა
იშვიათი რამე ძღუნნი;
შემწეობა ყველას ვსთხოვე,
შევაწუხე კაცი, ძენი;
ვინ რა მითხრა, ვინ რა მომცა,
და ვინ რით არ დამეხმარა,
მგრამ ერთიც მოსაწონი
არ გამოდგა; არა, არა!
ჰო და ბოლოს გადავწყვიტე—
შეთქვა შენთვის ერთი რამე,
რაც რომ ჩემის თვალთ ვნახე:
იყო ღამე... ბნელი ღამე...
წუთები და... ირაფრათა,
ჩაიფერულა ვარსკვლავები,
და განთიადს აღმდერდენ
ათასი ხმის ფრინველები.
შევეურებდი აღმოსავლეთს,
აღისფერად აწითლებულს:
ველი მუნით აღმომავალს
სანახავსა მე დიდებულს...
ამოგორდა ვარდი ცისა,
ვარვარებდა, კანკალებდა,
და მსოფლიოს განახარად
იციზოდა, ფართქალებდა...
ამ დროს იყო—ვარდის გულზე
ასოები დავინახე,
ფერად იყო ფირუზისა,
მოძრავი და მოცახცახე.
წავიკითხე ასოები,
სიტყვის რიგზე ანაშენი,—
მოვიხიბლეთ, რა ჩემთ ბავეთ
ღალადი ჰყვის: ა—ბა—შე—ლი...
დადფენა გ. ლომთათიძე.

ოცნება.

სწავიანსი

ძღვნათ მის. ბოჭორიშვილს

I

ანგელოზივით გაემართა წინ სუსტი ხელები და ღვთიურის სახით ცას მისჩერებოდა ვნების ამშლელი ოცნევა.

ფრთები ნახევრათ გაეშალა, თითქო მზათაა ეხლავე გაფრინდეს და მშვენებით მოხიბლოს ყოველნიერო.

ტკბილი ღიმილით ოდნავ ემჩნეოდა ლამაზ ტუჩებზე და ქანდაკებათ ქცეული მალა გაიყურებოდა.

ლამაზი, მიმზიდველი ტანი ლერწამივით მოქნილიყო და მშვენებით ხიბლავდა იქაურობას.

მისგან გრძობა მიღებული შაშივი ჯა. დონსურათ გაჰკიოდა და სიცოცხლის ხმებით აცხოვლებდა ზამთრის ცივ ღამეს...

მის ფერხთა წინ მისი შექმნილი მოქანდაკე—მხატვარი იწვა და საიდუმლოებით შესცქეროდა თავის ხატებას.

— „ოი ოცნებავ, გრძობით ამბობდა ის, შენა ხარ ჩემი ნათელი მზე...“

შენ ერთი მინათებდი მე სიბნელის გზას...

შენ მოგვეცო ყოველივე... შენ გაჩუქე სიყმაწვილის ფიქრები და სიზრმები... შემოგწირე ჩემი ხიცოცხლე, რამდენჯერ მიპყრობდა მე ექვი...

რამდენი ცხარე ცრემლები დამიღვრია... რამდენჯერ დამიწყეველია ჩემი ბედი, რადგან ვფიქრობდი შენ მოჰკვდებოდი...

მაგრამ გადიოდა დრო, მიჰქროდნენ საათები... დამის ყრუ სიბნელეში შენ მაინც ჩემთან იყავი და მხნეთ ჩამძახოდი: „იშრომეთ მე შენთანა ვარ...“

ღეე ჩემი სიცოცხლე ტანჯვით იქცეს...

ღეე თავისუფლების და მშვენიერების მოტრფილეს ბორკილთა ჩხარუნში ამომდერეს სული... არას დავეძებ. მე მაინც ბედნიერი ვარ, რადგან შენ შეგქმენი ჩემო იმედო, სემო სიამაყე, ოცნებავ!...

ნაკადულივით მისჩქედდა ცრემლები მოხუცის მოქანდაკის თვალებიდან და ერთიან თრთოდა...

თრთოდა მოხუცი და მთელ სახეს აღმური სდიოდა...

ის იწოდა სიხარულის აღში...

მწვავე სუსხი ზამთრის ჯარის ფრთებით დაჰქროდა და სიცოცხლეს ართმევდა ყოველივეს...

ამაყად ჩამოუქროლებდა ოცნების ხატებას და დამონებას უქადადა...

დაღლილი მოქანდაკე კი იქვე იწვა და თვალს არ აშორებდა თავის ქმნილებას?..

ნუ თუ ამალამ გაქრება ჩემი სიცოცხლე... ნუ თუ ყინვა დამიმსხვრევს ჩემს ღმერთას...!

ერთ ღამეს მოსპობს მას, რასაც მე წლობით ვქმნიდი... შემდეგ ხომ არათ ეღირება ჩემი სიცოცხლე შემდეგ... ხომ არაა ვიქნები... არარა!!! სასოწარკვეთილებით ქვითინებდა მოხუცი მოქანდაკე და თავის სამოსელში ხვევდა ოცნების ხატებას...

II

მშვენიერი ზამთრის დილა იყო...

ახლათ ამოსული მზე ოქროს სხივებით აქრობდა ცივ ყინვებს...

ძველ ხალათში გახვეული ოცნება ისევ ჯადოსნურათ გაიყურებოდა. მის გვერდით კი მოხუცი მოქანდაკე უგრძობლათ ეგდო. ის მომკვდარიყო.

ლ. ძიძიგური.



ალ. ვას. გენეცკი
ჯარას კატე გერმანიაშია ტყვედ.

ქალი

სომხური თქმულება, კმიაძინის მარხის სოფ. სემო ფდინში ჩაწერილი.

იყო ერთი მუშა გლეხი, რომელსაც ისეთი კაპასი ცოლი ჰყავდა, რომ ყოველ წამს ბედს აწყველინებდა. ქმარს ერქვა სედრა ცოლს სატენიკა.

ერთხელ ყანაში ხენის ღროს, სედრაქა წააწყდა თავიწრო და თვალ უწვდენელ ღრმა ხაროს. იქვე ეგდო დიდი სიბი ქვა.

უცებ აზრათ მოუვიდა: მოდი ერთი, ჩემს ცოლს ჩავაგდებ ამ ხაროში და გადავვრჩები მუდამ თავ ბედის წყველასო.

სალამოს დაბრუნდა სახლში და ცოლს უთხრა: ერთი ხარო ვნახე ოქროთი სავსე, ხვალ წავიღოთ ტომრები და მოვიტანოთ.

სატენიკას ჩვეულება იყო, რასაც სედრაქ ეტყოდა, მისი წინაღმდეგი ყოფილიყო.

ახლაც სედრაქამ რომ თქვა ხვალ წავიდეთ ტომრებით ოქროს მოსატანათო, სატენიკამ დაიჩემა დღესვე წავიდეთო.

კარგიო დაეთანხმა სედრაქა.

გალიგდეს მხრებზედ ტომრები და გაუდგენ გზას.

გზაში სედრაქ მიეცა საგონებელს: როგორ ჩავიტყუო ცოლი ხაროშიო. გაახსენდა, რომ რაც უნდა ეთქვა მას, სატენიკა სულ წინაღმდეგ მოიქცევოდა. ამიტომაც უთხრა:

სატენიკე, იცოდე, პირველათ მე უნდა ჩავიდე ჩემ ტომრით იმ ხაროშიო.

—რა საბუთით! დიასახლისი მე ვარ ოჯახში? მე შეკუთვნის პირველათ ჩასვლაო!

—შენი ნება იყოს დაეთანხმა სედრაქა.

—მიაწიეს ხაროს, სედრაქამ უჩვენა ხაროს თავი, სატენიკამ აიკაპიწი კაბა, მოიმარჯვა მხრებზე ტომარი და ისტრახილით ჩაძვრა შიგ.

ქმარმა უყურა, და როცა ცოლი კაი ძალაზე ჩაცოცდა, ააგორა დიდი გაჭირვებით აქვე რომ დიდი სიბი ქვა იდვა და ხაროს თავზე დააგდო.

ეჭვ, ბრძანდებოდე მანდ და იკაპასე მეორეთ ოსვლამდი, შემდეგ კი სასუფეველში

გაგისვენოს უფალმა, ოღონდ კი ჩემს კარმიდამოს აშოროს შენი სახსენებელიცო

რამდენიმე დღეს სედრაქა სულ არ ვაკარებია თავის ყანას: ისეთი საამო სიწყნარე იყო მის სახლში, რომ გაუტკბა შინ ყოფნა,

რამდენიმე დღის შემდეგ კი მას სძლია ცნობის მოყვარობამ, და წავიდა იმ ხაროსკენ, გაეგო იქაურობის ამბავი.

მისვლამდი მოკრა ყური საშინელ ღრი-აღს თითქო ათასად დაქრილი დათვი ერთათ ბლაოდა.

სედრაქა შეკრთა, არა მალე სძლია შიშს, წადგა ხაროს თავს და დაუგდო ყური ღრიალი კიდევ უფრო საშინელი მოესმა.

ხოლო მისმა გამოცდილმა ყურმა გააჩინა, რომ ის ღრიალი გსასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ გაჭირვებულების დუიალი იყო

ცოტათი, როგორც იყო, გადააჩოჩა სიბი ქვა ხაროს თავზე და ჩასძახა:

—მანდ ვინ ღრიალბებთო?

—ჩვენ ვართ, ორი ძმა ეშმაკი, მშვიდობიანათ ვბუნაგობდით აქ, არვის ჩვენი კრინტი არ გაუგონია, სანამ ეს შეჩვენებული ქალი არ ჩამოგვიგდო ვილაცა ჩვენმა მტერმა.

ამ ქალმა კი ისე აგვრია, ლამის ერთმანეთი დავეპოთ. შენ, მადლიანო, აგვხსენ ეგ სიბი ქვა ხაროს თავზე, შეგვაძლვინე ქვეყნათ ამოვიდეთ და სამაგიეროთ ყელამდე ავაფსებთ ქვეყნის სიმღერითო.

სედრაქამ ჩასძახა—თქვენი შველა კი მინდა, მარა მეშინია მაგ ქალიც არ ამოგყვეთ თანო.

ეშმაკებმა ამოსძახეს, შენ ნუ გეშინია, მარტო ერთ ციდაზე გადააჩოჩე ქვა, ჩვენ იმაშიაც ამოვძვრებით და ქალი ვერ ამოგვყვებაო.

სედრაქამ აასრულა მათი თხოვნა, ეშმაკები აშოძვრენ, თავიანთ მხსნელს მადლობა უთხრეს და ჰკითხეს ვინ არის ის ქალიო.

ჩემი ცოლიაო, მიუგო სედრაქამ. რამდენი წელიწადი იყავით ერთათო? ათიო.

აფერუმ შენს კაცობას. კაქი ჰყოფილხარო. ჩვენ კი ერთი კვირა ვერ გაუძელითო. აშოროს ყველა ჩვენთავანს ამ ქვეყნათ ქალი,

აფერუმ შენს კაცობას. კაქი ჰყოფილხარო. ჩვენ კი ერთი კვირა ვერ გაუძელითო. აშოროს ყველა ჩვენთავანს ამ ქვეყნათ ქალი,

როგორც ბნელეთში სინათლე და ჯოჯობეთში სიმართლეო. ხოლო შენ, ჩვენო მსხნელო, ამას გეტყვი: ჩვენ ეშმაკობის მეტი არაფერი სიმდიდრე არა გვაქვს, მარა შენ კი გაგამდიდრეთ, აი როგორ, ჩვენ ახლა წავალთ სპარსეთში და იქ შევალთ შაჰის გვამში, დავმართებთ ავ ზნეს და სიკვდილის პირათ მივალწვინებთ. შაჰს დაასვენებ მთელი ქვეყნის ექიმებს, მარა ვერავინ ვერას უშველის, დააგზავნიან ყოველგან ცხენოსანს ცხენოსანზე; ასეა შაჰის საქმე და ვინც მოარჩენს, რასაც ითხოვს იმას მიიღებს სააქიმოსაო. შენ თქვი—მე მოვარჩენთქო, წამოიდე ერთი სურა, ეგერ რომ წყაროა, იმის წყალი დააღვინე ის, ჩვენ მაშინვე გამოვალთ მისი გვამიდან და შაჰიც მორჩება.

მაშინ ის თვითონ გკითხავს რას დაჯერდები სააქიმოთ, და რასაც მოსთხოვ მოგეცემაო. ეშმაკები გამოემშვიდობენ და წავიდნენ.

მოხდა ყველაფერი ისე, როგორც ეშმაკებმა თქვეს: მალე გაჩნდნენ სედრაქას სოფელში შაჰის ცხენოსნები და ეძებდნენ შაჰისთვის აქოსს. სედრაქა გამოეხმაურა—მე მოვარჩენ, მხოლოთ, რასაც ვითხოვ შაჰის მორჩენის შემდეგ, ის უნდა მომეცესო.

შაჰის კაცები, რასაკვირველია, დაეთანხმენ, მაშინვე მოართვეს ბელაური ცხენი და წაიყვანეს შაჰის სასახლეში. თეირანში მოსვლის უშაღვე დააღბინეს შაჰს წამალი და იმ წამსვე მორჩა ავი ზნით სწეული შაჰი, რადგანაც ეშმაკები, პირობისამებრ, უხილავთ გამოვიდნენ სწეულის გვამიდან.

—აბა, მთხოვე, ჩემო გამკურნებელო, რაც გულს შეგიჯერებსო.

სედრაქამ თხოვა: ყოველ ჯიშის საქონლის ჯოგი, ციხე ქალაქი, და უფლება სასახლეში ცხოვრების, რთცა მოესურებოდა.

შაჰმა აუსრულა სათხოვარი და სედრაქა შეიქნა პირველი კაცი მთელს სახელმწიფოში, შაჰს შემდეგ.

ეშმაკები გამოემშვიდობენ სედრაქას და უთხრეს: ახლა ჩვენ მივდივართ თსმალეთში, რომ იქაურ ხონთქარს ისეთივე დღე დავაყენოთ, როგორც აქ შაჰსო. იქიდან შაჰს კაცს გამოუგზავნიან, რომ გამოგვეზავნენ ის ექიმი,

რომელიც შენ მოგარჩინაო, მარა იცოდე, არ გაგიწყრეს შენი ღმერთი, იქ არ მოხვიდე, თუ არა წავახრჩობთო.

რამდენიე ხნის შემდეგ მართლაც მოვიდნენ მაჰთან ხვანთქარის ელჩეგი და თხოვეს ექიმი.

შაჰმა უბძანა სედრაქას ხონიქარს ვასილი, ჩემსავით მოარჩიე და ჩემსავით ისიც დაგაჯილდოვებსო.

სედრაქა, ეშმაკებთან პირობისამებრ, უარზე დადგა.

შეუჩნდნენ კარის კაცები, ნაზარ-ვეზირები, მარა ვერაფერი გაწყეს: სედრაქას ეშმაკების ეშინოდა.

ბოლოს, შაჰის ბრძანებისამებრ, სედრაქა ძალით წაიყვანეს ხონთქართან.

მაწიეს სასახლეს. იქიდან გამოვიდნენ კარის კაცები: პატივისცემით მიღეს სედრაქა, უთხრეს ეს არის ეხლა მიეძინა ხონთქარს, ერთი თვეა მის ბედნიერ თვალებს ღუღი არ მიკარებიაო. ნაბძანები გვაქვს შენ მისი მოსასვენებელის გვერდით ოთახში დაგაბინავოთო.

სედრაქა შეიყვანეს კარის კაცებმა თვალწარმტაც და გულის გამძღებ სამდიდრით მართულ ოთახში, თავი დაუკრეს და დატოვეს მარტო.

მათი წასვლა დე ბრაზ მორეული ეშმაკების შემოსვლა ერთი იყო.

როგორ გაბედე შენ აქ მოსვლა შემდეგ იმასა, რაც ჩვენ გითხარითო ცაცხლივით ანთებუ თვალებით და კბილების კრატუნით დაეკითხნენ ისინი აგრეთვე კბილებ აკრატუნებულ სედრაქას, რომელსაც მეტს მეტი შიშისაგან სული ხორცში გაყოლა და ხმას ვერ იღებდა.

რას გაჩუმიმებულხარო, ისეთი ზარით შეუბღვირეს ეშმაკებმა, რომ სედრაქა უსახლეო სასო წარკვეთილებასაგან მოეგო, ფიქრათ გაივლი გულში და გაბედულათ მიუგო შემდეგი:

მე მხოლოთ იმილომ წამოგყვევი ნოხთქარის ელჩებს, რომ თქვენთვის სიძეთისათვის სიკეთით მეჯლო. მინდოდა გამეფრთხილებინეო და გაფრთხილებთ, რომ ჩემი ცოლი ამომძვრალა ამ ხაროდან და მოდის აქა...

— ააა? შენი ცოლი მოდის აქაო!

ძალნო ჯოჯოხეთისანო, გვიშველეთ!! შებ-
დავლეს ეშმაკებმა და თავპირის მტვრევით
უკვალლოთ გადიკარგენ იმ ქვეყნიდან...

ხონთქარი რაღა თქმა უნდა მორჩა და
ეს მორჩენა მან და მთელმა ერმა აქიმის სედ-
რაქას გრძნობას მიაწერეს. ხონთქარმა აავსო
ის ყელთამდე წყალთბით, მთელი ერი მოწი-
წებით პატივს სცემდა მას, როგორც უზად-
ლო აქიმს, და სედრაქა პირველ კაცათ გახ-
და მთელს სასიელმწიფოში, ხონთქარის შემდეგ.
ილია ჭყონია



გვ. ნინოშვილის ხსოვნას

(21 მაისს 1917 წ. წარმოთქმული გუგია-
ში მწერლის სამარკსთან წკინის ტზის მოსამსა-
ხურეთა მხრით, ვარ. უიფიანის მიერ.)

პატივცემულნი მოქალაქენო! მხოლოდ
დამკრთნი, საწმენოების დაშეუძნებულნი, დირს
ხლებადნენ შემდეგა ქება-დიდებასა: „მოგვიდით,
თაუგანი ვსცეთ მუყუფესა დამკრთსა ჩვენსა!“
დღეს, 23 წლის შემდეგ, თქვენს წინაშე
დგას სურათი ჩვენთვის ტანჯული გენატესა და
ჩვენც მოწიწებით მოვსუფავართ თაუგანის საცემ-
ლათ და ერთი-ერთმანეთს ვუუბნებთ:

მივიღეთ კრძალვით და თაყვანი ვსცეთ
ძვირფას ეგნატეს, ჩვენს თანამგრძნობელს
და მასთან კიდევ შენდობა უთხრათ
მისს აკენის მრწეველს და აღმზღელს
| მშობელს.

ხომ ხედავთ კიდევ თავ-პირს იმტვრევენ
„მაჯასტომის ტბის“ მეტივები,
ტირიან, ოხვრენ ეგნატეს სიკვდილს
და გაწიწილი აქვსთ ყველას თმები.
„მოსე მწერლის“ მოქმედებითა
მღვდელი, რომელიც იყო ტანჯული,
შენი სიკვდილის გაგონებაზე
იმანაც მწრაფლად დალია სული.
ქრისტინეც ხომ მთლად დაკარგული
შვილიც უტირის სხვის კერას მწარედ,
სიმონაც ტყეში გლოვობს შენს სიკვდილს,
თავის ამქრებით არის მწუხარედ.

კოლშვილიანად თავზე დაგვეტირის
მწარედ „გაგი ის შიშველი“,
რომლის ცხოვრების ტანჯვა-წვალება
მკვერ-მეტყველურად გაქვს აღწერილი.
„მკლავაძეუბი“ თანავიგრძნობენ,
„მუნჯაძეუბი“ ამოიღეს ხმა,
მათი წუხილი შენს დაკარგვისთვის
უსახლდრო არის და მასთანვე ღრმა,
ამისათვის, რომ ტანჯულ-დევნლთა
შენ ჰქომავობდი, ლაპარაკობდი,
მაგრამ უდროვოდ მზე დაგვიბნელდა:
მოგვეშორდი მალე და ტანჯვით მოკვდი
მოკვდი და, ჩვენდა საუბედუროთ,
თუმც ვერ გიხილავს აწ ჩვენი თვალი,
მინც მჯეროდეს არ დაგივიწყებს
ჩვენი წარსულს და მომავალი!..
ვარდენ ყიფიანი დვანკითელი

გუმინდელნი

მოქმედება მესამე.

იგივე სანახაობა. დაღამებულია და შორიდან გორაკებზე გაშენებულ საფლის სანთლები მოსჩანს. შორიდან არეული სიმღერა და ღრინავი მოისმის. აივანზე ბნელა.

— ა —

ფაცია და დადიკო კიბეზე ამოდიან.

ფაცია კარგია მეთქი, ნუ სულელობთ!..

ადიკო. ვსულელობ კი არა აბა რა მოგეწონათ იმ ნემეცის?

ფაც. ვინ მოგახსენათ რომ მომეწონა?

ად. როგორ არ, ჩემის ყურით გავიგონე, რომ სიყვარული ავიხსნათ და თქვენც უარი არ განგიცხადებიათ.

ფაც. იფ, მშვენიერი ხელობა კი დავიწყვიათ ჯაშუშობა!

ად. ეგ სულ ერთია!.. ეხლა საქმე მაგაში არ არის!.. უმთავრესი ის არის, რომ მაინც მოგხიზლათ ბრკვილა ჩინურმა და დეზების რაწკი-რაწკმა...

ფაც. კარგი, ვთქვით გგრეც არის... მერე თქვენ რა?..

ად. მე ის რომ რას გამოელით ამ ვილაც გადამთიელისაგან?.. თქვენ აკი ამბობდით—ჩემი პრინციპი კანონიერი ჯვარის წე რა არისო.

ფაც. მერე? რა იცით რომ თუ მოვისურვებ ჩემზე ჯვარსაც არ დაიწერს?

ად. (გადაისახსარებს) ვინა? გრენგოლმი? ნეტავი ეგეთი გულ-უბრყვილო არ იყოთ. როგორ არ იცით, რომ ის გამოცდილი დონუანია და ისიც მხოლოდ იმას გამოელის თქვენგან, რასაც მე.

ფაც. უზრდელი!

ად. ეგ შაბლონური სიტყვაა... მე მხოლოდ ეს მაკვირებს ჩვენი ქალებისა: თუ ერთი ვინმე უცხო გამოჩნდა, პრისტავი იყოს თუნდა სტრატეიკი ხელათ მინებდებიან. და ჩვენ კი... ოო, უსათუოდ ჯვარის წერა, ქორწინება და ამისთანები...

ფაც. მაგ სიტყვებს ჩემზე გავლენა არა აქვს!..

ად. ეჰ, როგორ არ ვიცი... ჩემი საქმე

მაშინ წახდა, როდესაც სიტყვებზე მივარდა საქმე... მაგრამ აი მოვიდა გამოცდილი კაცი და უკვე მოქმედებაც დაიწყო...

ფაც. უჰ, რა გულ-ღვარძლიანი ყოფილხართ... ჩემ საქმესაც მომაცდინეთ: აქ გამომგზავნეს, რომ ახალი სუფრა ვაგშალო და...

ად. სად? აქ, აივანზე?

ფაც. (აჭაუგრებს) დიახ. აქ, აივანზე და... სულ ქიქინაზე რომ გასკდეთ, მაინც მაზრის უფროსს მოვუჯღღები და ვეარშიყები. (გადის)

ად. (მიაუადებს) ია და ვარდო, მე „ატ-სტავკაში“ ვარ (გაიარ-გაშოაარს, სტვენს)

— ბ —

კიბიდან ამოდის „ფოტოლია“. სახე აქანძულო აქვს, თმები მიშლილ-მიშლილი. დადლილია. ნელა შემოდის, თითქმის მოიხარება. მოდის და ტახტზე მძიმეთ დაეშვება.

ად. ეს ვინ ბრძანდება? სიბნელეში კარგათ ვერ ვარჩევ.

„ფოტ.“ უჰ, გავისკდა მიწა, რა შემეშინე!

ად. აა, ფოტოლია ბრძანდება? სად ჯაგვეკარგეთ ამ შუა საღილზე?

„ფოტ.“ რალაც თავი ამტკიცდა, შენ მომიკვდე.

ად. თავი? მეც მომწყინდა საღილზე და წედან თხილნარისაკენ გამოვიარე.

ფოტ. (შეუშინდება, შიშის კილოთი) უი, გავისკდა მიწა.

ადიკო. თქვენ რა, მერე? თხილნარში კარგი სასეირნოა. მერე თხილიც მომწიფებულა.

„ფოტ.“ დაგწყველოს ღმერთმა, რას ლაპარაკობ?

— გ —

(შემოდის მოდლილი ქილორდავა და სურკით მიეურდნება აივნის ხარახს).

ად. რას ელაპარაკობ?.. არაფერს. აი მიზეზი, სულთ ჩემო (მიათითებს ქოლორდავაზე) აი მიზეზი...

(შემოდის ბიჭი. შედგება შუა შაკიდაზე შის ზემოთ ჩამოკიდებულ ფანრის ჯაშხარს ანთებს სტენს განათდება. გადის. ასევე ბრუნდება და სუფრას აწობს)

„ფოფ. (სინათლეზე შემჩნევს ქილორ-დავას და შეერთება) უი!

ად. რა მოგივიდათ, ნიფადორა?

ქილორად. (სინათლეზე გასწორდება და შორიდან „ფოფოდანს“ ადრუნიებით შესქქრის. უღუკას იგრესს, ქშინავს).

ფოფ. (წამოადგება) რას იკბინება ეს წყეული კოლო.

ად. კოლო კი იყო? ჩვენ სოფელში კოლო არ იცის. ხოკო იქმნებოდა, შავი, უღვაშებიან ხოკო.

„ფოფ.“ რას ლაპარაკობს, გაგისკდა მიწა! (ერთს სიფეარულით გახედავს ქილორდავას და გადის, გაიარს ქილორდავასკენ) არა, ისევე ქალაქში უნდა წავიდე, თორემ აქ.

ქილორ. (დრეკით) ქალაქში მიბრძანდება, პატონი?

ად. (ჩაჩურჩბება) დიად, ქალაქში.

— ვ —

შინა ოთახებიდან გამოდის კნ. ჩიტუნია, მოქანტული სახე ახევეს. აივნისკენ გაივლის.

კნ. ჩიტ. თქვენა ხართ, ადიკო?

ად. გახლავართ, კნენია... რა ამბავი, სადილზე მოგვატოვეთ?

კნ. ჩიტ. საშინელი თავი ამტკივდა, ყმაწვილო...

ად. (განზე) რა ამბავია, დღეს ყველას თავი ტკივა?

კნ. ჩიტ. (შოდის, ტახტზე ჩამოჯდება) მოდი თქ, ადიკო, ხომ ნებას მომცემთ ასე დაგიძახოთ?

ად. (მოუახლოვდება) რასაკვირველია, კნენია...

კნ. ჩიტ. რა ვიცი, ეხლა დავაფკადით, დიდი ხანია არ მინახებართ... მოდი თქ, ჩამოჯექით, მიაშბეთ თქვენი ამბავი...

ად. (ასლო შეუჭდება)

კნ. ჩიტ. А на самомъ дѣлѣ вы интереснѣй молодой человекъ...

ად. ელივს... მაღლობა ღმერთს! ამ სოფელში ერთი ქალისაგან მაინც გავიგონე ხერიანი სიტყვა.

კნ. ჩიტ. როგორ? არავინ არ განებობრებთ?.. Бѣдный мальчикъ!

ად. Только не жалѣйте, княгиня...

კნ. ჩიტ. არა, ვიცი... მარჯვე ბიჭი ხართ... გამაგონეს. ჩვენ კნიაჟნას ეარშიყებით ძალზე. რა? თუ გინდათ მე გავირიგებთ საქმეს.

ად. არა, კნენია, კოლოთ არ მინდა.

კნ. ჩიტ. Ахъ вы .. ერთი ამას დამიხედეთ. ახალი მოდის კაცი! რა? თქვენც ხომ ფუტურისტი არა ხართ?

(გარედან სიმღერა და ხმები: „ახალი სუფრა, ახალისუფრა!) Ахъ надобли...

სიმღერა ახლოვდება. კნენია მიხედავს აივნისკენ, შეაჩერდება ქილორდავას. ნელი დამიღიოთ რას ატუზულა ეს სტრატეიკი?

ად. Этотъ стражникъ княгиння, молло-дець...

კა. ჩიტ. (გაკვირვებულად) Какъ?

— ვ —

შემოდის მავრის უფროსი და კოწია გაღახეულნი. ორავე შეზარსოშებულა. უფრო კოწია. ცოტა ხნის შემდეგ შემოვლენ სტუმრები, მომღერლები, პრისტავი

მალხ. ზი და პაპუნა

მავ. უფ. აი ჩვენც მოვედი, дорогий князь.

კოწ. შენი ქირიმე, შენი. დიდებული ყახახი ხარ, დიდებული. (შემოვლენ სტუმრები სიმღერით, მავრამ ასე კი, რომ სიმღერა მოლაპარაკეთ არ უნდა უშლიდეს

კნ. ჩიტ. (წამოადგება. ადიკოს) ეხლა კი ამათ გავეცალოთ, თორემ.

მავ. უფ. (დაინახავს კნ. ჩიტუნიას, მიადის მასთან) Ахъ очаровательная княгиня.

ად. (ჩამოშორდება კნენიას და სტუმრებისკენ გადადის)

— ვ —

(ბიჭს შემოაქვს ღვინო და სანთავაკე შემდეგ გადის)

მალხ. (ასხამს ღვინოს. სტუმრები მავრისთან გროვებიან. ზოგი ჯდება, ზოგი სეზეუკრათ იღუკემბა ან სეჰმს. სიმღერა წედება).

მავ. უფ. რაზე გავგიწყერთი? სადილზე მიგვატოვეთ.

კნ. ჩიტ. თქვენ აღარ გემადლიერებით, ედლუარდ ერახმოვიჩ.

მავ, უფ. რატომ? რა დავაშავე?

კნ. ჩიტ. როგორ თუ რა დააშავებთ! რა იყო რომ ფაცის გადავიკიდეთ?

მაზ. უფ. Я княгиня... я княгиня. Нѣтъ, это одинъ восторгъ... Вы ревнуете, ექვიანობთ?

კნ. ჩიტ. შენმა მზემ... много чести...

მაზ. უფ. მაშ რა, კნენია?

კნ. ჩიტ. რა და იცით, ნებას არ მოგცემთ, რომ კნიაჯნას არ შეიყობა და უწყით. რა თქვენი საქმეა! ქალიშვილი ქალია, გაუთხოვარი...

მაზ. უფ. Но я княгиня...

კოწ. (შავიდასთან თავის ჯგუფს) შენი ჭირიმი. რა ქვია, კაცო?

პრისტ. ედუარდ ერანმოვიჩი...

მაზ. უფ. Сейчас, сейчас.

კნ. ჩიტ. თქვენ კი ცოლიანი ხართ. გამოქნილი დონ-ჟუანი.

მაზ. უფ. რას მიბრძანებთ, კნენია?. მე ხომ ქვრივი ვარ.

კნ. ჩიტ. როგორ, მართლა? (განცვიფრებულად) მაშ თქვენ სურვილს უღაობთ გინდათ?..

მაზ. უფ. სრულიად სურვილს უღაობთ, კნენია...

კნ. ჩიტ. გინდათ ფაცია შეერთოთ?

მაზ. უფ. გაძლევთ პატროსან სიტყვას...

კნ. ჩიტ. აჰ უკაცრავათ! მომიტევეთ, მომიტევეთ, გეთაყვა... თუ ესეა, ღმერთო...
Какой вы славный.

მაზ. უფ. Вашу ручку, княгиня. (კოწნის ხელზე)

კნ. ჩიტ. მაშ გახსოვდეთ თქვენი სიტყვა.

მაზ. უფ. მიუცილებლათ, კნენია...

კოწ და სხვები. ედუარდ ერანმოვიჩი...

მაზ. უფ. ეხლავე, ეხლავე!.. კნენია წავიდეთ!

კნ. ჩიტ. კარგი. ეხლა აღარ გიწყობით... (ხელ-გაურბილი გაუკვება შავიდასკენ)

კოწ. ეს ვინც მოვიდა გაუმარჯოს!.. აბა, ყმაწვილებო, ღმერთმა გვიცოცხლოს

ჩვენი კნენია ჩიტუნის თავი.. ეგ არის ჩვენი ჭირისუფალი, ჩვენი გამკითხავი, წვენი სოფლის დედოფალი.. ალავერდი, ყმაწვილებო ღმერთმა ნუ მომიშალოს, ბიძიკო, შენი თავი... (ხელზე აკოცებს)

კნ. ჩიტ. გამდლობთ ბიძია.

(მრავალ-ჟამიერ)

მაზ. უფ. უჰ მართლა! სად არის ჩემი კნიაზი გორგასლანიანი.

პრისტი. ქილორდავა! Повзвать сюда Гога-сланиани...

ქილორდ. სიჩას! (გავარდება)

კნ. ჩიტ. (მასხრის უფრას) რათ გინდათ?

მაზ. უფ. უნდა ვაქიდავო...

კნ. ჩიტ. კარგია ერთი რას ამამიმუნებთ.

მაზ. უფ. О, увряю! одинъ восторгъ! ისეთი ფრანგული ქ დაობა იცის... Настоящий!..

კნ. ჩიტ. კარგი ერთი...

მაალხზ. მაგრამ აქ სხვა ვინმემ ფრანგულის ქიდაობა?.. აა მართლა, უთუოდ. თქვენ (ადიკოს) молодой человекъ...

ად. ქიდაობა კი არა... მოიტათ დგინო მინდა დავლიოთ...

კნ. ჩიტ. ოჰო...

მაალხზ. რათ გინდა, გენაცვალე... აკი არა სვამ...

ადიკო. არა, ესლა უნდა დავლიო... გულზე ბოღმა მომავფა... მოიტათ!.. (უსხამენ)

—ღ—

გორგასლანიანი, ქილორდავა

გორგას. (გამოეჭიმება მასხრის უფრას). ჰე-ჰე-ჰე! რას მიბრძანებთ, ვაშე ვისოკობლაგოროდიე!

მაზ. უფ. აბა, французскую борьу... ხელათ...

გორგას. слушаюсь... მაგრამ ვის ვექილო, ვაშე ვისოკობლაგოროდიე...

მაზ. უფ. აგერ მოდი, შევილო, აგერ... რავა, მოხუცი რომ ვარ, არ ვიცი გგონია?.. ქალაქებში ნამყოფი მეც ვარ და ფრანგული ქიდაობის ცოტა მეც მესმის...

გორგას. ჰე-ჰე-ჰე! მობრძანდი.

მაზ. უფ. Ну, живо!

კოწ (მასხრ უფრასს) დიდებული ყაზახი ხარ, დიდებული...

(მოჭიდავები მოემზადებან და იწყებენ ქიდაობას. მასხრის უფრასი შესაფერ შენიშვნებს აძლევს და თან ზოგჯერ წამოამახებს: „ჰო-ჰო-ჰო! სურათი დრანცელი მსურებლები. ბოღოს გო-

რგასლანთან წაქტევეს მადხასს. საერთო მოწონების ხმა.)

მან. უფ. ბრავო, ბრავო! (ამოიღებს ჯიბიდან ფულს) აი ესეც შენ 15 მ.

გორბას. (ქშინავს, გაშოართმევეს) ჰე-ჰე-ჰე! რად სტარატსა, ვაშე ვისოკობლაგოროდიე!

კოწ. ფუი, შეარცხვინა ღმერთმა შენი კნიაზობა...

მან. უფ. А что?

ფაც. (თეფშით ცხელ-ცხელი საჭაპურები შოაქვს) ესეც ჩვენებური, ცხელ-ცხელი ხაჭაპურები

უველანი გარდა აღიკოსი. ააა!

მან. უფ. Чудная княжна, одинъ восторгъ, ей Богу!

ფაც Я Сама испекла

მან. უფ. Сами? Одинъ восторгъ

კნ. ჩიტ. ბატონებო მაშ ვადღეგრძელოთ ჩვენი კნიაჟნა.

მან. უფ. Охъ, съ удовольствіемъ...

უველანი. გაუმარჯოს, გაუმარჯოს. (სიმღერა)

ად. (უკრძად ზეზე წამოადგება) ბატონებო! ხმები. ჩუ, ჩუმაღ...

ად. ბატონებო... აი ჩვენ აქ ვზივართ, ვქტიფობთ... და ვინ იცის რა სისაძაღლეს არ ჩავდივართ... (უსურხული სიჩუმე).

კოწ. (წამოვარდება) იმე. რას ამბობს ე, მღვდელი!

ად. მე კი შევცქერი ამ სიბნელეში ჩვენს ციხე-ბურჯს და ვინ იცის რა აზრი არ მიტრიალებს თავში...

მან. უფ. (მოიღუშება)

პრიხტ. Пожалуйста, [ციხე-ბურჯზე ნუ ილაპარაკებთ...

ხმები. რატომ? რატომ? თქვი, თქვი გენაცვალე...

ად. მე განა ისეთს რას ვამბობ...

მან. უფ. Ничего, говорите, дуйте...

*) ეს სცენა შეიძლება შეიცვალოს ჩუჩნურ ტექსტში. ტანვით ან ესეთ რაიმე განსხვავებულ მ-ის აღსრულებით, რაც კი მოუხდება და მოუხერხდება გორგასლანთანის როლის აღმასრულებელს.

(კნ. ჩიტუნას) ეხლა ისეთ გუნებაზე ვარ, რომ რაც უნდათ ის ილაპარაკონ...:

ად. გავცქერი-მეთქი ციხე-ბურჯს და ვფიქრობთ ერთ დროს იქ იყო სიცოცხლე, იყო თავისებური სიხარული, სიყვარული, ტანჯვა, მწუხარება. და დღეს კი ყოველივე ჩამქრალა. აღარავინ არ ეკარება. რომელიმე ჩიტი თუ გადაფრინდება მის თავზე, ხოლო ღამით კი ღამურები და ქოტები ბუდობენ. და ვინ იცის აქაც. აი, სადაც ეხლა ჩვენა ვსხედვართ, ვღრიალებთ დავფთხრიალეობთ, ერთ-დროს სულ სხვა ადამიანები იყვნენ და სულ სხვა გვარ ზრახვიდნენ, ფიქრობდნენ. იყვნენ გოლიათები სულით, სხეულით. ჯან-სალი გონებით და მოქმედებით... ჩვენ კი. აი, ბატონიშვილი გორგასლანისანი. (პაუზა) 15 მ. ღებულობს ჭიდაობაში... (დაჯდა).

გორგას ჰე-ჰე-ჰე! სობჯათ გაისმის მისი სიცილი მძიმე პაუზა).

კოწ. მერე.

მან. უფ. (დაცინვის კილოთი) გაუმარჯოს საქართველოს!

(იქა-აქ თავ-შეკავებული სიცილი)

კოწ. დიდებული ყაზახი ხარ, დიდებული.

ფაც. (წამოადგება და შუა ალაგას ტანვრდება).

კოწ. გენაცვალე, შვილო, აბა ერთი ლექსი... აი ის ახალი ლექსი რომ იცი...

კნ. ჩიტ. ო, ჩინებულათ...

მან. უფ. О, тогда просимъ, просимъ...

სხვები. გთხოვთ, გთხოვთ!

ქილორდ. (გადის)

ფაც (თავს უკან გადაიგდებს ამაყათ და ზემოაათ წარაოსთქვამს სანდრო შანშიაშვილის ჯექსს)

ბატონიშვილს გული უწუხს, მარტო ველარ სძლებს!

უგვირგვინოდ ბაღში დადის, რჩეულს სევდა სძლევს.

სღუმს ხუმარაც, აღარ ამბობს იგავ-არაკებს...

თავს ყორანის დასტრიალებს, შავი შავად ჰყეფს!

ბატონიშვილს გული უწუხს,

აგტ.

მარტო ველარ სძლებს;
ავად არის დედოფალი,
ფერ-მიხილილი წვეს,

ჭვრტოპოს, საყვარელს დაშორდება,
ჩუმად ცრემლი სჩქეფს.

და თან ესმის: შორს ყორანი
თვალ-ბედიითი ჰყეფს!

ბატონიშვილს გული უწუხს,
მარტო ველარ სძლებს!

სეფე-ქილი ქვეთინებენ,
ტირილი აქვთ რძლებს!

გლოვის ზარი ჩამორკეცს,
თაღს აცმევენ ღერბს.

ბატონიშვილს აღარ სძინავს,
გულ-ხელ დაიკრეფს...

ყორანი კვლავ დაყილებს
და ყურყუმი ჰყეფს.

ყველანი. ვაშა, ბრავო, ბრავო!
კნ. ჩიტ- Это интересно..

კოწ. (უმარჯობებს) აბა რას მოგიწყენი-
ათ?.. ერთი სიმღერა: „მინას ვენაცვლებიო!..
(გაიმღერებს. სხვები მღერაან)

მაზ. უფ. (გადაინაცვლებს ტახტისაკენ)
კნენა მოდიოთ აქ ჩემთან.

ფაც. რა გნებავთ?

მაზ. უფ. გადმოჯექით აქა.. (ჩამოსხდუ-
ბიან ერთად)

კნ. ჩიტ. (წამოდგება, გადადის ადიკოსკენ)
ადიკო! რა არის ღვინოში იხრჩვებით .. შემ-
ღერებით) არ გეკადრება, არ შეგფერდება...

ადიკო, ვაჰ, კნენა ჩატუნია... Чувст-
вую, что падаю...

კნ. ჩიტ. Падаете? (გაუფინებს) მაშ
მოიტათ თქვენი ხელი... (სიმღერა შეწყდება)

ადიკო. (გაუღიმიებს, მისცემს ხელს, წა-
მოდგება და რაიენი ბივის ხარისისაკენ მი-
დინ)

კოწია. (გორგასიდან) რას მელაპარაკება,
ბიძო, აბა არ გინახავს შენ... (მოიღებს
ჭობიდან) ა, აგერ ეს ბარიტია, ეს ოხრია
ეს გიშერი და ეს ვერცხლი...

გორგა. ჰე-ჰე-ჰე!.. (განაკრძობენ ჩუმი
ღამარაკს)

ფაც. (მაზრის უფროსს) არა. მე ვერა-
ფერს გადაწყვეტილს ვერ გეტყვით ყოველი-

ვე ეს ისე უცებ მოხდა... მეჩე კიდე თქვენ
სულ სხვა კაცია. სულ სხვა ნაციის. მე კი
ერთი სოფლის უბრალო, ქართველი კნიაქია...

მაზ. უფ. Вот, вот... ეხლა კი
მართლა ქართულად მსჯელობთ... რა ვუ-
ყოთ, რომ მე უცხო ნაციისა ვარ! მე რომ
მკითხოთ თქვენ ქართველები სწორედ ეგრე
უნდა მოიქცეთ... თქვენი ქალები სულ უც-
ხოელებზე უნდა გაათხოვოთ.. თუ გინდათ,
რომ სისხლი განაახლოთ... აბა რას წარმოა-
დგენთ ეხლა?.. დიხიავებული. დაგლახაკებუ-
ლი... იაქა-იაქ თუ გამოვარდება თქვენისთანა
კეკლუცი, თორემ აბა სადღა არიან ოდესმე
განთქმული გრუზინსკია красавицы?.. ეს
რატომ მოხდა?.. იმიტომ რომ მუდამ მონები
იყავით ქართველები და ერთხელაც არა
ცდილხართ ამ მონობისაგან რიგაანათ თავი
დაგებწით... მონას კი ან რა კვება ექნება,
ან რა ჯიშის შექმნა შეუძლიან! Гдѣ ваша
породистость!? თქვენა გგონიათ მე არ ვი-
ცი თქვენი ისტორია? ერთი ბატონიდან მე-
ორე ბატონის ხელში გადადიოდი... ყველა
თქვენ გირტყამდათ: ერთი მხრით „სპარსეთი,
მეორე მხრით ოსმალეთი, ძველი ბიზანტია,
მთიულეები, ჩეჩნები, ლეკები, ოსები. ყველა
თავში გიფაჩუნებდათ, ვისაც კი არ ეზარე-
ბოდა. თქვენ კი ამბობთ კულტურული ხალ-
ხი ვიყავითო. რის კულტურა? რა კულტუ-
რა? რა გაგაჩნდათ, რა გქონდათ?.. ჩვენ,
რუსებმა მოგანიქეთ ყოველივე. ეხლა. ეხლა
მანც უნდა მოეგოთ გონს... ეხლა ჩვენ უნ-
და შეგვიერთდეთ სულით, სისხლით, სხეუ-
ლით.. უწინარეს ყოვლისა თქვენ ქალები
უნდა გახდეთ гражданки великой русской
империй და მაშინ .. შეძლება თქვენი საქ-
მეც გამოკვდეს ..

ფაც. (დიდთ სწეინს მაზრის უფროსის
სიტყვები, შეურაცხოფსა გრძობს, მღელვა-
რებს, მაგრამ მაზრის შემდეგ შეცრად ხელს
გაუწვდის) ეღუარდ ვრაზმოვირ... აი ჩემი ხე-
ლი...

მაზ. უფ. Вот, вот . ესე არა
სჯობია?.. (ხელს მაჭკიდებს) Мое частье!
Крاليا моя?.. (მთისმის დიდისი შეთვისებას
კიზიარებს გაიძვერა მოუყარე!)
ჩხლავ გამოუცხადებ ყველას ჩემს ბედნიერ-
Господа!

სახალხო თეატრის ისტორია

(მასალები)

რადგანაც ავღაბარში ქართველი და სომეხი ხალხი ერთმანეთისგან ძნელათ განირჩევა, თითქმის ერთად ძმურად და მეზობლურათ ცხოვრობენ, სომეხი მშვენივრათ ლაბარაპობს ქართულს, ამას კიდევ კარგათ ესმის სომხური, ამიტომ გამგე. ფირუმიანა, რომელიც ერთსა და იმავე ღროს სომხურ წარმოდგენებსაც მართავდა, შეაერთა სომხურ-ქართული სცენის მოყვარესი ერთად და 1904 წ. მაისის 7იდან დაეწყო „ქართველ-სომეხთა სცენის მოყვარეთა ამხანაგობა.“

ისე რომ, როდესაც რომელიმე პიესა ქართულად იღვმებოდა, ამვე ღამეს სომხური ერთ მოქმედებიანი ვოდვეილი მიდიოდა. და თუ პიესა იღვმებოდა სომხურად, მაშინ ერთ მოქმედებიანი ქართულად. ასე მართავდნენ წარმოდგენებს. მაგალითად 9 მაისს „ბედს ვერ წაუხვალ“ ქართულად. „ჩემი სამსახური ზვრინვაა“—სომხურად. 16 მაისს არსენა ქართულად „პოეტი“ სომხურად. ამ რიგათ წავიდა მთელი წლის წარმოდგენები.

ხალხი მუდამ ნასიამოვნები რჩებოდა. იყვნენ ისეთი სცენის მოყვარენიც, რომელნიც ორთავ წარმოდგენებში იღებდნენ მონაწილეობას, როგორც, მაგალითად, ფირუმიანი. ივ. მარკოზოვი, ქნი ბეგიჯანიანი, ბუჩუკური და სხვა. თუ რომელიმე დიდ პაესას ვოდვეილი ველარ დაედგმებოდა, იმ შემთხვევაში სომხებში მორიგობდნენ ქართულ წარმოდგენებში და ქართველები სომხურში. ამხანაგობას ჰყავდა არჩული თავისი გამგეობა, რომელიც ირჩევდა პიესებს, ანაწილებდა როლებს, დეფიციტებს და ნიშნავდა მორიგ გამგებს. ამ გამგეობაში იყვნენ ქართველებადან: ფირუმიანი, მარკოზოვი, ბალაშვილი, ალ. ბაჯიაშვილი, სალაყაია. სომხებიდან: ისევ ფირუმიანის გრიგორიანი, ბაღდასარიანი, ლუშჩიანი და ლაშქარიანი. სუფლიორად აღექვ. ბაჯიაშვილი, სცენარიუსათ პეტა ბეგიჯანიანი.

თეატრის ქირას 50 მ. იხდიდნენ იყო სხვა ხარჯებიც. ყოველი წარმოდგენა ზარალით

თავდებოდა, ამ ხარჯების დასაფარათ თვითუკული სცენის მოყვარე თვიურად 50კ. იხდიდა, შხირათ მეტსაც.

იყვნენ ისეთი თანამგრძობელნიც, რომელნიც ერთ-დროულათაც ეხმარებოდნენ, მაგ ვაქარმა ოპანეზ დანელიანიცმა იკისრა ერთი თვის დეფიციტი და 50 მან. შესწირა. აგრეთვე შესწირა ხელოსანმა ნიკო მირველოვმა 20 მან. სცენის მოყვარეთა ამხანაგობა იძულებული შეიქნა წარმოდგენები შეეწყვიტა და მოიჯარადრე არაქსიანისთვის თეატრის ქირის დაკლება მოეთხოვნა. არაქსიანიც დათანხმდა 2 თვის შემდეგ და ქირაცა ცოტათი დაუქლო.

1905 წლიდან ხელახლა განაგრძეს წარმოდგენები. ისევ ქართულ-სომხურად ერთად გაიმართა რამოდენიმე წარმოდგენა, მაგრამ დეციტები თავიდან ველარ მოიშორეს. ფირუმიანმა თავი მიანება გამგეობას, მის ნაცვლათ აირჩიეს თომა ნასიძე. წარმოდგენები მორტო ქართული მიდიოდა. მაგრამ უფრო მეტი ზარალით თავდებოდა. ფირუმიანი ხელახლა იქნა არჩეული, მანვე დაიწყო სომხურ ქართული წარმოდგენები. ერთხელ გამართეს დილით და საღამოთი სხვა და სხვა წარმოდგენა. დამსწრე საზოგადოებას შეეძლო ერთი და იგვე ბილეთით დილითაც დასწრებოდა და საღამოთიც, მაგრამ ვერც ამ ხერხმა გასკრა და შემოსავალმა გასავალი ვერ დაფარა. გაჩნდნენ სხვა დასხვა სცენი მოყვარენი, რომლებიც მართავდნენ კერბო წარმოდგენებს. ბ. არაქსიანიცა რომ დაინახა თეატრის ბერი მოსურნე ჰყავსო, ქირას აუწია და ვინც მეტს მისცემდა თეატრს მხოლოთ იმას აქირავებდა. ისე რომ ამხანაგობამ, რომელშიაც შედიოდნენ აფხაზიშვილი, ბეგიჯანიანი, ბუჩუკური, ზაბელა (მსახიობი), მარკარჩეულოვი. ქართველიშვილი; ბ. ბაღდასარიანი, ბალაშვილი, ბაჯიაშვილი, ვალუსტიანი, ვართანიანი ივრისპირელი, ლაშქარიანი, ლოლაძე, მაილიანცი, მარკოზოვი, კოლა მეტრეველი, მირველოვი, სალაყაია, სადათიანი, საფაროვი, სოლომონიანი, ფირუმიანი, ლუშჩიანი, და ჩალაძიანი ველარ შესძლო ამდენი ზარალის თავისი ჯიბიდან გადახდა. არაქსიანსაც ვალი დაედო თეატრის პატრონისა და თეატრი დროებით დაიკეტა.

გიორგი ჯაბაური.

წეთელ-ბილეთიანის სიმღერა

არაფერი არ მიხარის,
გული კვენისის სევდიანი,
სული მტკივა, ავად ვარ,
ვიტანჯები ქრისტიანი.
ჯარის კაცად გამიწვიეს,
ავად მყოფი, დარდიანი,
შეყრილიყვნენ იუდეები,
არვინ იყო რივიანი.

მე სამშობლოს დამაშორეს,
გამიყენეს შორსა გზასა,
მიმიყვანეს ჯოჯახხეთში,
მასწავლიან კაცის კვლასა;
ნეტა რავქნა, რა ვაწამო,
ვერ ვეწყობი ამ საქმესა,
ღმერთმა მისცეს მაგიერი
ვინც რომ ასე დააწესა!..

არტემა ძველ-გალავნელი.

შეკითხვის პასუხი

„თეატრი და ცხოვრების“ მე-15-ე „იარის“ ყო-
ფილი ამხანაგი გვეკითხება, თუ რამდენი შევაგროვეთ
„იარის“ მსახიობთა შორის დამწვარი თეატრის სახა-
რგებლობა?

შეკითხველს უნდა მოვახსენო შემდეგი: ფულს
აგროვებდა ივანე სურგულაძე (რეჟისორი). მე რამდენ-
ჯერმე მოვაგონე, რომ ანგარიში გაესწორებია, თუ
კი რამე აქვს შეგროვებული. მივივრს, ამდენხანს არა
გზავნის, სადაც ჯერ არს. იმედი მაქვს, აწი მაინც გა-
გზავნის და თავიდან ამაშორებს ბრალდებას, როგორც
ქართული თეატრის გულ შემატკივარს.

ვასილ კირვალიძე.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

ახალი კლუბი კვირის პრუ-
აპრილის 23-30

წირობა — რუსული წარმოდგენა. ბილეთები 50-30 კ.

ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

ესამშაბათი — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაბ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

აბ. — საოჯახო საღამო

სასელმფო (წინანდელი სა- საზინო) თეატრი

ორშაბათს 29 მაისს.

მსახიობი ქალი

ელა ანდრონიკაშვილი

გამართავს წარმოდგენას: წარმოდგენილი იქ-
მნება პირველიად ქართულ სცენაზე

შ ა მ მ ა დ ა დ ი ა ნ ი ს

პიესა

მღვიმეში

ფანტასტიურ სანახაობა სამს ნაწილათ. პიესა
დაწერილია 1905 წ. და შიგ გამოხატულია
ფანტასტიურ სამეფოს ძველი მთავრობის
დამხობა. როლებს შეასრულებენ: ქ-ნ ამირა-
ჯიბი ცაცა, დაფითაშვილი ნ., ქილარჯიშვილი
მ. ბბ, ბარველი, გამყრელიძე, გვარამძე, იმედა-
შვილი, კორიშელი, მატარაძე, მგალობლი-
შვილი, შალიკაშვილი.

**თანამშრომლებში ურევიათ: ანდრონიკა-
შვილი თამარ, კალატაზიშვილი მაცუვალა,
მაისურაძე ნინო, ციციშვილი ტასო**


აგრეთვე წარმოდგენაში მონაწილეობას
მიიღებს ქნარზე დამკვრელი ქალი.

ქ-ნი როსტევეან. პიესა დაიდგმება თვით
ავტორის რეჟისორობით. სამხატვრო მორათუ-
ლობას ხელმძღვანელობს გიორგი ერისთავი.
დასაწყისი საღამოს 8¹/₂ საათზე ბილეთები
ისყიდება სახელმწიფო თეატრის კასსაში და
„ძმურ ნუკეში“.

„თეატრი და ცხოვრება“

პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით
4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სო-
რაპანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის კუნძ № 1,
ფოსტით: Тифлис, ред. „Театри да Цховреба“ —

Иос. Имедашвили.



გურული-ბერძენი ცეკვა ხორუმი რომელსაც უესრულბენ ქართული მაკმიანები სახანო თეატრში
 ოთხშაბათს, 31 მაისს კ. ფოცხვერაშვილის ეთნოგრაფიულ საღამოზე